საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/35

02 მარტი 2021 წ. ქ. ბათუმი

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ალექსანდრე შარაბიძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ" ბსუ-ს აკადემიურის საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N49 დებულების, „ბსუ–ს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო (ონლაინ) დაცვის წესის" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 დეკემბრის 06–01/79 დადგენილების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (22.02.2021, ოქმი 27–20/2 და სადისერტაციო საბჭოს მდივნის სამსახურებრივი ბარათის (01.03.2021; № 173962) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ალექსანდრე შარაბიძის სადისერტაციო ნაშრომის - „ზღვისპირა აჭარის მეორადი ფიტოცენოზები" დაცვა დაინიშნოს 2021 წლის 5 მარტს 13 საათზე, ონლაინ, (ZOOM–ის პლატფორმა, https://us02web.zoom.us/j/2483627850)

2. დამტკიცდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი დარგობრივი (ბიოლოგია) სადისერტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

2.1. დოლიძე ქეთევან - ბსუ-ს პროფესორი, (ბიოლოგიის დოქტორი), კომისიის თავმჯდომარე;
2.2. ზარნაძე ნანა - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი, (ბიოლოგიის დოქტორი), კომისიის მდივანი;
2.3. ბარათაშვილი დავით - ბსუ-ს პროფესორი, (ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი);

2.4. ლომთათიძე ნინო - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი, (ბიოლოგიის დოქტორი);

2.5. სარალიძე ეთერი - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი, (ბიოლოგიის დოქტორი);

2.6. ქოიავა ლიანა –ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მცენარეთა დაავადებების, მონიტორინგის, დიაგნოსტიკასა და მოლეკულური ბიოლოგიის განყოფილების მეცნიერი- თანამშრომელი; ბიოლოგიის დოქტორი,

2.7. ბოლქვაძე გია - ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი. ბიოლოგიის დოქტორი,

2.8. ქედელიძე ნინო- ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. ბიოლოგიის დოქტორი,

2.9. ვასაძე თემური - ბათუმის ბოტანიკური ბაღის გოდერძის ალპური ბაღის მენეჯერი, ბიოლოგიის დოქტორი,

3. ბრძანება სადისერტაციო საბჭოს მდივნის მიერ გაეგზავნოს დოქტორანტს და ფაკულტეტის დეკანის ოფისის მიერ განთავსდეს მის პირად საქმეში.

4. ბსუ-ს რექტორის ბრძანება და საჯარო დაცვის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე (საჯარო დაცვის თარიღის, საათის, დოქტორანტისა და სადისერტაციო თემის შესახებ, ასევე მიეთითოს ელ. ფოსტა - dissertation.commission@bsu.edu.ge, რომელზეც საჯარო დაცვაზე დასწრების მსურველებს ექნება შესაძლებლობა გამოაგზავნონ წერილი და მათ გაეგზავნებათ ZOOM-ის ლინკი).

5. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ და მდივანმა უზრუნველყონ ZOOM-ის ლინკის შექმნა და მისი ,,ბსუ-ს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო (ონლაინ) დაცვის წესთან ერთად გაგზავნა ამავე ბრძანების მე-2 პუნქტში აღნიშნული პირებისათვის.

6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს(პროფესორი ქ. დოლიძე), თავმჯდომარის მოადგილეს (პროფესორი ი. ბეჟანიძე) და მდივანს (ასოც. პროფესორი ნანა ზარნაძე).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი: **მერაბ ხალვაში**